ქურთთა საკითხის როლი აშშ-თურქეთის ურთიერთობაში

ლუკა ბაშელეიშვილი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით დარჩიაშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლუკა ბაშელეიშვილი, 26.06.2016

მადლობა

ვსარგებლობ რა შემთხვევით, მსურს მხარდაჭერისთვის მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ბ-ნ დავით დარჩიაშვილს, რომელიც მუდმივად ხელმისაწვდომი იყო მუშაობს პროცესში, მათ შორის არასამუშაო დღეებში და არ იშურებდა ვრცელ კომენტარებს, რაც წინამდებარე ნაშრომის წარმატებით დასრულების საფუძველი გახდა; ასევე მსურს მადლიერებით მოვიხსენიო ჩემი ყოფილი ლექტორები, ბ-ნი ბავერჯან ბაქრი და ბ-ნი როს ჰარისონი, ფასეული ინფორმაციის მოწოდებისთვისა და გაწეული დახმარებისთვის.

Aknowledgement

I would like to use the opportunity and to express my sincere gratitutde to my supervisor, Mr. David Darchiashvili for his continuous availability in the working process, including the non-working days and provided me with extensive comments, contributing to the successful completion of the work; I also would like to thank my former lecturers, Mr. Ross Harrison and Mr. Bawerjan Bakr for the valuable information provided and the assistance rendered.

აბსტრაქტი

2003 წელს, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებზე განხორციელებული ტერაქტის, ე.წ. 9/11-ის შემდეგ, კოალიციის ძალები ერაყში სამხედრო ინტერვენციას გეგმავდნენ, NATO-ს წევრმა და აშშ-ის მოკავშირემ, თურქეთმა, საკუთარ ტერიტორიაზე არსებული ბაზები კოალიციის ძალებს შეტევის პლაცდარმად არ დაუთმო. აღნიშნულმა ფაქტმა რყევები მოახდინა ორი ქვეყნის ურთიერთობაში და პარალელურად გამოიწვია აშშ-სა და ერაყელი ქურთების სტრატეგიული თანამშრომლობა ერაყის მაშინდელი ლიდერის, სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ, რის შედეგადაც ერაყის ქურთისტანის ავტონომიის აქამდე ფორმალური სტატუსი მნიშვნელოვნად გაძლიერდა.

2014 წელს, 11 წლის შემდეგ, აშშ უკვე სირიაში გეგმავს სამხედრო ინტერვენციას, ამჯერად ISIS-ის წინააღმდეგ. მიუხედავად შტატების მიერ ინიცირებული არაერთი მაღალი დონის ორმხრივი დიპლომატიური შეხვედრებისა, თურქეთი კვლავაც არ უზრუნველყოფს საკუთარ ტერიტორიაზე არსებული სამხედრო ბაზების ხელმისაწვდომობას აშშ-სა და კოალიიციის ძალებისათვის. აღნიშნული რეალობა 2015 წლის ივნისში შეიცვალა, მას შემდეგ, რაც სირიელ ქურთთა სამხედრო ფორმირებებმა ISIS-ის დე-ფაქტო დედაქალაქიდან, რაქადან, 85 კმ-ის მანძილზე მდებარე სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქი, თალ-აბიადი დაიკავეს, რის შედეგადაც მათი პოზიციები საკმაოდ გაძლიერდა. თურქი ლიდერები მტკივნეულად აღიქვამენ ქურთული პოზიციების გაძლიერებას, განსაკუთრებით კი მის საზღვრებთან ახლოს, რაც, წინააღმდეგობაში მოდის ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ აშშ-ის სტრატეგიასთან.

წინამდებარე ნაშრომის საკვლევ კითხვას წარმოადგენს ქურთების როლის განსაზღვრა აშშ-თურქეთის ურთიერთობებში: ისევე როგორც ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკის გავლენა ქურთების საკითხზე ახლო აღმოსავლეთში და პირიქით.

განხილულია ერაყისა და სირიის ომის ქეისები, როგორც თანამედროვე და აქტუალური პრეცენდენტი ზემოაღნიშნული სოციო-პოლიტიკური ძალების ერთ კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცეში ოპერირებისა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ქურთები, თურქეთი, აშშ, სირია, ერაყი.

Abstract

In 2003, when the US-led coalition forces planned to implement the military intervention in Iraq after the 9/11 terrorist attack on the US land, Turkey did not grant its military bases to the coalition forces for the mentioned military operations despite its membership of NATO and all the strategic partnership among the two courtiers. The Turkey's denial disrupted the bilateral relationship and contributed to the partnership among US forces and Iraqi Kurds against Saddam Hussein, then-leader of Iraq. The successful partnership of the two strengthened the existing but formal autonomy of Iraqi Kurdistan in the Iraq.

In 2014, 11 years later, USA is planning its military intervention in Syria, this time against the Islamic State. Despite the numerous high-level diplomatic talks initiated by the Washington, Turkey again neglects the possibility to provide its military bases for the US and the coalition forces. The reality has changes in June 2015, as the Syrian Kurdish armed forces captured Tal-Abiad, the city of a strategic importance located 85 km away from the de-facto capital of ISIS: Raqqa thus strengthening the Kurdish positions in the Northern Syria. Turkish leaders are sensitive about the advencment in Kurdish positions, especially near its borders, which comes into contradiction to the current US strategy against ISIS.

The aim of the paper is to explore the role of Kurds in the US-Turkey Relationship and the impact of the foreign policies of those two countries on Kurdish issue in the Middle East and vice versa. The paper relays on the cases of conflict in Iraq and Syria as the modern and actual precedent of the operation of the aforementioned socio-political actors in the same geographic area.

Keywords: The Kurds, Turkey, the USA, Syria, Iraq.